# ინფორმირებული მოქალაქეები ეფექტური თვითმმართველობისათვის

თბილისი
2016

კვლევა/ანგარიშის განხორციელება შესაძლებელი გახდა პროექტის „ინფორმირებული მოქალაქეები საჯარო სამსახურში“ ფარგლებში საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

**ავტორები:** **ირმა პავლიაშვილი**
**რატი თინიკაშვილი**

**რედაქტორი:** **ხათუნა ყვირალაშვილი**

**ტექ. რედაქტორი:** **ირაკლი სვანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი:** **თამარ გვარამაძე**
**ირმა პავლიაშვილი**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

---

*© 2016, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

**პროექტი „ინფორმირებული მოქალაქეები საჯარო სამსახურში“**

## სარჩევი


1. სიტუაციური ანალიზი ..... 2
2. საკანონმდებლო ჩარჩო ..... 2
3. საჯარო შეხვედრები ..... 4
3.1. პირველი ეტაპის საჯარო შეხვედრები ..... 5
3.2. მეორე ეტაპის საჯარო შეხვედრები ..... 5
4. იდენტიფიცირებული პრობლემები ..... 6
5. საინიციატივო ჯგუფები და საადვოკაციო კამპანია ..... 8
6. მიღწეული შედეგები ..... 8
7. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა გამოკითხვა ..... 10
7.1. თვითმმართველობებისადმი მიმართვიანობის ინტენსივობა ..... 13
7.2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და ჩართულობის ფორმები ..... 17
7.2.1. დასახლების საერთო კრება ..... 17
7.2.2. პეტიცია ..... 17
7.2.3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ..... 18
7.2.4. საკრებულოს/საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა ..... 18
7.2.5. ანგარიშის მოსმენა და ანგარიშის ფორმა ..... 18
8. ჩართულობის სხვა ფორმები და არსებული გამოწვევები ..... 20
9. საბიუჯეტო პროცესი ..... 21
10. თვითმმართველობის პრიორიტეტული მიმართულებები ..... 22
11. ფინანსური რესურსი ..... 23
12. იდენტიფიცირებული პრობლემები და რეკომენდაციები ..... 25
12.1. მოქალაქეთა ინდიფერენტული დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებისადმი ..... 26
12.2. მოქალაქეთა ნაკლებ ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე და მოქალაქეთა დაბალი სამართლებრივი თვითშეგნების დონე ..... 27
12.3. ფინანსები და ქონება ..... 28
12.4. საკრებულოს, საკრებულოს სხდომების, ბიუროს სხდომებისა და მისაღები გადაწყვეტილებების პროექტების საჯაროობა ..... 28
13. დასკვნა ..... 29

## 1. სიტუაციური ანალიზი

პროექტის – „ინფორმირებული მოქალაქეები საჯარო სამსახურში“ – მიზანს, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის, თვითმმართველობებისა და მოქალაქეთა თანამშრომლობისა და ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის საუკეთესო მოდელის იდენტიფიცირება, რათა მონაწილეობის მექანიზმების პრაქტიკაში დატესტვითა და განხორციელებით გამოვლენილიყო მიგნებები და გამოწვევები, რომლებიც ჩართულობის მექანიზმების განხორციელების რისკებს წარმოშობდა და მოგვცემდა საშუალებას, მის საფუძველზე შემუშავებულიყო რეკომენდაციები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ეფექტური ჩართულობის ხელშემწყობი იქნებოდა.

პროექტის ფარგლებში, მოქალაქეთა ჩართულობის, ადგილობრივი თვითმმართველობების ანგარიშვალდებულების გაზრდისა და ადგილობრივ მოქალაქეებთან თანამშრომლობის მიზნით, პროექტის სამოქმედო არეალში, კერძოდ, თბილისის,[1] რუსთავის, თელავის, მცხეთის, ზუგდიდის, ოზურგეთის, გორისა და ახალციხის თვითმმართველ ქალაქებში შეიქმნა აქტიურ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფები, რომელთაც მოახდინეს ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტული პრობლემების იდენტიფიცირება, დაგეგმეს საადვოკაციო კამპანია და ჩაერთნენ თვითმმართველობის პროცესში (საჯარო შეხვედრებში მონაწილეობა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება, სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართვა, საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა და ა.შ.).

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის საუკეთესო მოდელის იდენტიფიცირებისა და ჩართულობის პროცესში მონაწილე ყველა მხარის (როგორც მოქალაქეების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების) მოსაზრებების შეჯერებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, პროექტის გუნდმა განახორციელა საკრებულოსა და გამგეობის/მერიის წარმომადგენელთა გამოკითხვა, სამოქმედო არეალის მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე, შემუშავდა ერთობლივი რეკომენდაციები მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების ეფექტური იმპლემენტაციისთვის.

## 2. საკანონმდებლო ჩარჩო

ეფექტური თვითმმართველობის განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიის განვითარებისთვის. საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 26 ოქტომბერს განახორციელა 1985 წლის 15 სექტემბერს საერთაშორისო ხელშეკრულებად მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა ქარტიით დადგენილი პრინციპები და ვალდებულებები და დაადგინა, რომ თვითმმართველობის შესახებ კანონი, საქართველოს კონსტიტუციისა და „ევროპული ქარტიის შესაბამისად, განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს...“[2] მიუხედავად ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წლების მანძილზე არაერთი პრობლემის წინაშე იდგნენ. 2004-2005 წლებში

[1] თბილისში დაიფარა გლდანისა და დიდუბის რაიონები.

[2] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ყოფილი რაიონული მმართველობის საზღვრებში, თვითმმართველი ერთეულები ყოველგვარი ადგილობრივი, გეოგრაფიული, ტრადიციული, ინფრასტრუქტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შეიქმნა. შესაბამისად, არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი მომსახურების ადეკვატურ და ეფექტურ მიწოდებას და მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სწორედ დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის. სტრატეგიის მიხედვით, რეფორმის ჩატარება ორ ეტაპად განისაზღვრა.

პირველ ეტაპზე – 2013-2014 წლებში – დაიგეგმა სხვადასხვა სამართლებრივი, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელება, რათა 2014 წელს ადგილობრივი არჩევნებისთვის განხორციელებულიყო ახალი სისტემის ფორმირების მნიშვნელოვანი ეტაპი დეცენტრალიზაციის მიმართულებით. გაიზარდა თვითმმართველი ერთეულები, კერძოდ, არსებულ 5 თვითმმართველ ქალაქს დაემატა 7 ქალაქი, რომელთაც თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭათ. ცვლილებები ფუნქციურ გადანაწილებასაც შეეხო, რომლის მიხედვით, განისაზღვრა, რომ აღმასრულებელი ორგანო არის მერი (მუნიციპალიტეტში – გამგებელი), რომელიც პირდაპირი წესით – 3 წლის ვადით, ხოლო 2017 წლიდან – 4 წლის ვადით აირჩევა. წარმომადგენლობითი ორგანო კი არის პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 4 წლით არჩეული საკრებულო.

მეორე ეტაპზე, არჩევნების შემდგომ, დაიგეგმა ახლად ჩამოყალიბებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური, მართვის ეფექტიანობისა და დემოკრატიულობის კუთხით.[3]

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე წლის ივლისში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა თვითმმართველობის კოდექსში მოქალაქეთა დამატებითი მექანიზმების დახვეწასთან დაკავშირებით.

ცვლილებებით განისაზღვრა, რომ იქმნება დასახლების საერთო კრება, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმას. იგი უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების (დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური, განსახორციელებელი და განხორციელებული, მიმდინარე პროექტების, დასახლების ტერიტორიის დასუფთავების, საქველმოქმედო საქმიანობის, ინფრასტრუქტურის შეკეთებისა და მოწესრიგების, მუნიციპალიტეტის დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის, ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხები) განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას. თუმცა, კანონმდებელმა ორი განსხვავებული რეჟიმი დაადგინა: ერთი მხრივ, დასახლებაში, სადაც ამომრჩეველთა

[3] საქართველოს მთავრობის განკარგულება #223 1.03.2013, „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“.

რაოდენობა არ აღემატება 2000-ს და, მეორე მხრივ, დასახლებაში, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 2000-ს. კანონის მიხედვით,[4] ქალაქსა და დასახლებაში, რომლის ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 2000-ს, საერთო კრების ჩატარება მუნიციპალიტეტის დისკრეციას წარმოადგენს და განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

კანონმდებელმა ცვლილებებითვე განსაზღვრა, რომ მათი ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა უზრუნველყოს დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცება იმ დასახლების საერთო კრებისთვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება.

მეორე მხრივ, გამგებელთან/მერთან იქმნება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების, აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახილველად. მის შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია, მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

შესაბამისად, ცვლილებების მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა, საინიციატივო ჯგუფები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კანონმდებლობის დონეზე, აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან, შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები. ასევე, იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია, უზრუნველყოს, საკუთარი ინიციატივით, საერთო კრების მოწვევა (წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ).

## 3. საჯარო შეხვედრები

პროექტის მიმდინარეობისას, საჯარო შეხვედრები პროდუქტიულად წარიმართა. დამსწრე საზოგადოება დაინტერესებული იყო თემატიკით და აქტიურობდა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ნაჩვენები იყო პროექტ „ხალხის მანიფესტის“ ფარგლებში გადაღებული ფილმი, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ რა შედეგის მიღწევა შეიძლება ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში მოქმედების პირობებში.

ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, შემუშავდა სამოქმედო გეგმა იდენტიფიცირებულ პრობლემათა გადასაჭრელად. საადვოკაციო კამპანიის დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებელთა ლიგის წევრები,

[4] თვითმმართველობის კოდექსის 85[2] მუხლის მე-6 პუნქტი.

რომლებმაც უშუალოდ ადგილებზე შეისწავლეს საკითხები, შეხვდნენ მოსახლეობას და მოახდინეს იდენტიფიცირებული პრობლემების ფოტო და ვიდეო გადაღება. პერმანენტულ სამუშაო შეხვედრებზე განხორციელდა საინიციატივო ჯგუფებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა თვითმმართველობებში შესაბამისი მიმართვების წარდგენისა და საჭირო ინფორმაციის გამოთხოვნის კუთხით.

სამუშაო ჯგუფებთან წარიმართა შემდეგი ხასიათის მუშაობა: პირველ ეტაპზე, განხორციელდა გამოკვეთილი პრობლემური საკითხების ანალიზი და შემუშავდა სამოქმედო სტრატეგია. დაიწერა მიმართვის ტექსტები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მისამართით.

### 3.1. პირველი ეტაპის საჯარო შეხვედრები

| | |
|---|---|
| თბილისი, გლდანი[5] | 27 ივნისი, 2015 |
| თბილისი, დიდუბე[6] | 7 ივლისი, 2015 |
| თელავი | 18 ივნისი, 2015 |
| გორი | 9 ივლისი, 2015 |
| ახალციხე | 14 ივლისი, 2015 |
| რუსთავი | 19 ივნისი, 2015 |
| ზუგდიდი | 11 ივნისი, 2015 |
| ოზურგეთი | 27 ივნისი, 2015 |
| მცხეთა | 23 ივნისი, 2015 |

მეორე ეტაპის საჯარო შეხვედრებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ჩართულობით განხორციელდა, აქტიურმა მოქალაქეებმა წარმოადგინეს იდენტიფიცირებული პრობლემები და, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, იმსჯელეს მათი გადაჭრის გზებზე.

პროექტის მიზანს სწორედ მოქალაქეთა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობა და ხელშეწყობა, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ურთიერთთანამშრომლობა და მოქალაქეთა მონაწილეობის საუკეთესო მოდელის იდენტიფიცირება წარმოადგენდა.

### 3.2. მეორე ეტაპის საჯარო შეხვედრები

| | |
|---|---|
| თბილისი, გლდანი[7] | 12 ნოემბერი, 2015 |
| თბილისი, დიდუბე | 29 ოქტომბერი, 2015 |
| თელავი[8] | 30 სექტემბერი, 2015 |
| გორი[9] | 29 სექტემბერი, 2015 |

[5] პირველი ეტაპის საჯარო შეხვედრა გლდანში.
[6] პირველი ეტაპის საჯარო შეხვედრა დიდუბეში.
[7] მეორე ეტაპის საჯარო შეხვედრა გლდანში.
[8] მეორე ეტაპის საჯარო შეხვედრა თელავში.

| | |
|---|---|
| ახალციხე | 12 ოქტომბერი, 2015 |
| რუსთავი | 12 ოქტომბერი, 2015 |
| ზუგდიდი | 23 სექტემბერი, 2015 |
| ოზურგეთი | 30 სექტემბერი, 2015 |
| მცხეთა | 9 დეკემბერი, 2015 |

## 4. იდენტიფიცირებული პრობლემები

| **მუნიციპალიტეტები** | **გამოკვეთილი პრობლემები** |
|---|---|
| **თბილისი, გლდანი**[10] | გლდანის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ, სარაჯიშვილის №15-ში არსებული კორპუსის ავარიული მდგომარეობის შესახებ;<br><br>სარაჯიშვილის №8-ში მდებარე კორპუსის მაცხოვრებლების მიმართვა კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობისა და ამავე ტერიტორიაზე, კორპუსის მიმდებარედ, გზაზე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის გაკეთებასთან დაკავშირებით;<br><br>გლდანულის მიმდებარე ტერიტორიაზე გლდანის ხევში მდინარე გლდანულის ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება. |
| **თბილისი, დიდუბე**[11] | დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კერძოდ, კოსმონავტების ქ. №49-ში არსებული პრობლემების (ეზოს განათების არარსებობა, ეზო ასფალტის საფარის გარეშე, დაჭაობებული ადგილი ეზოს წინ) თაობაზე;<br><br>ასევე, დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ, ფოთის ქ. №37-ში დაზიანებული ფიჭვის ხეების თაობაზე. |
| **თელავი** | თელავის მახლობლად (სოფელ კურდღელაურში) მდებარე ხევის საკითხი, რომელიც ტბორავს და აზიანებს სახლებს, ანადგურებს ნათესებს. განცხადების გარდა, პროექტის გუნდის მიერ დაიგეგმა ვიდეოგადაღება, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ნათლად |

[9] მეორე ეტაპის საჯარო შეხვედრა გორში.
[10] https://www.facebook.com/media/set/?set=a.1611587942460325.1073742040.1460837820868672&type=3.
[11] https://www.facebook.com/media/set/?set=a.330805047090142.1073741949.182472258590089&type=3 - პირველი ეტაპის საჯარო შეხვედრა დიდუბეში.

| | |
|---|---|
| | წარმოჩენილიყო არსებული პრობლემა. |
| **გორი** | ქალაქ გორის აქტიური მოქალაქეების მხრიდან მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ნაგავსაყრელებისა და ნაგვის ურნების სიმცირე. |
| **ახალციხე** | ქალაქ ახალციხეში გამოიკვეთა გზების რეაბილიტაციის პრობლემა. |
| **რუსთავი** | უპატრონო ძაღლების პრობლემა;<br><br>საზოგადოებრივი ტუალეტების ნაკლებობა;<br><br>საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიმცირე;<br><br>საბავშვო ბაღების ნაკლებობა. |
| **ზუგდიდი** | სკოლამდელი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის გაზრდა;<br><br>შიდა გზების რეაბილიტაცია – სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გადაადგილების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ტროტუარებზე ადაპტირებული გადასასვლელების არარსებობა;<br><br>გარე განათება;<br><br>დასუფთავების პრობლემა;<br><br>საზოგადოებრივი საპირფარეშოების რეაბილიტაცია. |
| **ოზურგეთი** | ქ. ოზურგეთის სამუსიკო სკოლის შესასვლელში პანდუსის მოწყობა;<br><br>ახალგაზრდული ცენტრის აშენება, რომლის შენობა მთლიანად ადაპტირებული იქნება შშმ პირთა საჭიროებებისადმი;<br><br>ტროტუარებზე, ყოველ 400 მეტრში, შშმ პირთათვის დასასვენებელი ადგილების/სკამების მოწყობა;<br><br>თეატრისა და გმირთა მოედნის დამაკავშირებელ დაღმართზე, კიბეების გასწვრივ, ეტლით მოსარგებლეთა სავალი ნაწილის მოწყობა. |
| **მცხეთა** | ქალაქში უპატრონო ძაღლების არსებობა;<br><br>სკვერების ნაკლებობა. |

## 5. საინიციატივო ჯგუფები და საადვოკაციო კამპანია

საადვოკაციო კამპანია პროექტით განსაზღვრულ თითოეულ თვითმმართველ ქალაქში ერთგვაროვნად წარიმართა. პირველი ეტაპის საჯარო შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეებმა გამოკვეთეს ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემური საკითხები, რომელთა მოგვარებაც, მათი აზრით, პრიორიტეტული იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის. აქტიური მოქალაქეებისგან დაკომპლექტდა საინიციატივო ჯგუფები. საინიციატივო ჯგუფების საქმიანობაში, ასევე, აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებელთა ლიგის წევრები, რომლებიც ეხმარებოდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასა და განცხადებების ტექსტის შედგენაში. ისინი უშუალოდ ადგილზე ნახულობდნენ და ფოტოებზე აღბეჭდავდნენ იმ პრობლემებს, რომელთა იდენტიფიცირებაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მოახდინა. ჯგუფის მონაწილეებმა გამოითხოვეს ინფორმაცია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებიდან იდენტიფიცირებულ პრობლემებთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების გეგმისა და არსებული ფინანსური რესურსების შესახებ. შემდგომ, მოქალაქეებმა განცხადებით მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს იდენტიფიცირებულ პრობლემათა მოგვარების თხოვნით. განცხადებებს თან ერთვოდა პრობლემის ამსახველი ფოტოებიც. წერილობითი მიმართვებით, მოქალაქეები ითხოვდნენ, შესაძლებლობის შემთხვევაში, თანხის გამოყოფას მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან, ან მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემათა მოსაგვარებლად ფინანსური რესურსის გათვალისწინებას. შემდგომ ეტაპზე განხორციელდა საჯარო შეხვედრები მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით, არსებული პრობლემური საკითხების მოგვარების მიზნით. შეხვედრაზე მოქალაქეები უშუალოდ აწოდებდნენ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს იდენტიფიცირებული პრობლემების შესახებ და ერთობლივად მსჯელობდნენ პრობლემათა გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე. შედეგად, პრობლემური საკითხები ძირითადად მოგვარდა. იმ შემთხვევებში, როდესაც მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა ვერ ხერხდებოდა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან მოქალაქეებმა მიიღეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი პირობა, რომ გამოკვეთილ პრობლემურ საკითხთა მოგვარება განხორციელდებოდა მომდევნო წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გამოყენებით. მომდევნო ეტაპზე, დაპირებების შესრულების მონიტორინგის მიზნით, მოქალაქეებმა გამოითხოვეს ინფორმაცია, გაითვალისწინეს თუ არა მათი მოთხოვნები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. უმრავლეს შემთხვევაში, იდენტიფიცირებული პრობლემები მოგვარდა, დანარჩენ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით კი, დაიწყო მუშაობა მათ მოსაგვარებლად.

## 6. მიღწეული შედეგები

| **მუნიციპალიტეტი** | **შედეგი** |
|---|---|
| **თბილისი, დიდუბე** | სოხუმის ქუჩაზე №7-ში დაიგო ასფალტი |
| **თბილისი, დიდუბე** | ზუგდიდის ქუჩაზე №12-ში დაიგო ასფალტი. გარე განათების დამონტაჟებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობა გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მერიაში |

| | |
|---|---|
| **თბილისი, დიდუბე** | ევდოშვილის ქუჩაზე №2/10-ში დაიგო ასფალტი |
| **თბილისი, დიდუბე** | ფოთის ქუჩაზე დაიგო ასფალტი |
| **თბილისი, დიდუბე** | კოსმონავტების ქ. №49-ში (ყოფილი ხოშარაულის ქ. №29) გარე განათების დამონტაჟების, ავტობანზე გადასასვლელი ხიდის, №169 სამარშრუტო ტაქსის ხაზის აღდგენის საკითხებზე შუამდგომლობა გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მერიაში |
| **თბილისი, გლდანი** | საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ავარიული კორპუსის შესახებ განცხადება გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს, ობიექტი შეტანილ იქნა ავარიული სახლების ნუსხაში და განიხილება შენობის გამაგრების საკითხი. |
| **თბილისი, გლდანი** | გლდანის ხევის მოწესრიგების საკითხი გამგეობის კომპეტენციას სცილდება, ვინაიდან საჭიროებს მატერიალურ-ტექნიკურ, საინჟინრო, გეოდეზიურ, საპროექტო და რიგი სამუშაოების ერთობლივ კონტექსტში უზრუნველყოფას. |
| **ზუგდიდი** | 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია №4 და №12 საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია |
| **ზუგდიდი** | ქ. ზუგდიდის მერმა საკრებულოს სხდომაზე განაცხადა, რომ 2016 წელს დაგეგმილია ქალაქ ზუგდიდის გარე განათების ქსელის გაფართოება და ამისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 900,000 ლარი |
| **ზუგდიდი** | დასუფთავების პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყო 1.712.000 ლარი. ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხით იგეგმება მუნიციპალიტეტის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის უფრო მეტად დაცვა და გაუმჯობესება, ასევე, ქ. ზუგდიდის მერია 2016 წელს გეგმავს ურნების შეძენას |
| **ზუგდიდი** | ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში ამჟამად მიმდინარეობს ადაპტირებული გადასასვლელების მოწყობა და, ასევე, 2016 წელსაც იგეგმება ამ მიმართულებით სამუშაოების გაგრძელება |
| **ზუგდიდი** | ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკვე დაიდგა რამდენიმე ტურისტული მიმანიშნებელი |
| **ზუგდიდი** | 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა თანხები შეღავათიანი მგზავრობისთვის, სტუდენტებისა და უმწეო კატეგორიის პირებისთვის |
| **თელავი** | თელავის გამგეობის განმარტებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი თავად განახორციელებს ხევის რეაბილიტაციისთვის როგორც საპროექტო-საძიებო, ასევე სხვა სამუშაოების წარმოების სრულ დაფინანსებას |
| **გორი** | ქალაქ გორის მერიამ შეიძინა 60 ახალი ნაგვის ურნა, რომელიც, მართალია, არ აკმაყოფილებს საერთო მოთხოვნას, თუმცა, არსებულ ვითარებას, გარკვეულწილად, შეამსუბუქებს |

| | |
|---|---|
| **რუსთავი** | უპატრონო ძაღლების აღრიცხვა, აცრა და კასტრაცია უკვე დაწყებულია |
| **რუსთავი** | 2 საზოგადოებრივი საპირფარეშო უკვე გაკეთებულია რუსთავის პარკის ტერიტორიაზე |
| **ოზურგეთი** | უახლოეს პერიოდში იგეგმება ქ.ოზურგეთის სამუსიკო სკოლის შესასვლელში პანდუსის მოწყობა |
| **ოზურგეთი** | 2016 წლისათვის აშენდება ახალგაზრდული ცენტრი, რომლის შენობა მთლიანად ადაპტირებული იქნება შშმ პირთა საჭიროებებისადმი, ხოლო აღნიშნული შენობის დასრულებამდე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის არსებული შენობის შესასვლელში მოეწყობა დამხმარე კონსტრუქცია ეტლით მოსარგებლე პირებისათვის |
| **ოზურგეთი** | ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, დაგეგმილია ტროტუარებზე ყოველ 400 მეტრში შშმ პირთათვის დასასვენებელი ადგილების/სკამების მოწყობა |
| **ოზურგეთი** | თეატრისა და გმირთა მოედნის დამაკავშირებელ დაღმართზე, კიბეების გასწვრივ, მოეწყობა ეტლით მოსარგებლეთა სავალი ნაწილი |
| **ოზურგეთი** | ქ. ოზურგეთში ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს პანდუსები უკვე მოეწყო შემდეგი ქუჩების ფეხით სავალ ნაწილზე: გაბრიელ ეპისკოპოსის, ერისთავის, თაყაიშვილის, დოლიძისა და დავით აღმაშენებლის ქუჩებზე |
| **მცხეთა** | უპატრონო ძაღლების პრობლემის გადაჭრის მიზნით, ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ შედგა, ვინაიდან ტენდერში მონაწილეობა არავის მიუღია. რაც შეეხება სკვერის მოწყობას, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ საკითხზე და ქალაქ მცხეთის მერი მზად არის, აქტიურად ითანამშრომლოს აქტიურ მოქალაქეებთან სკვერის მოწყობაზე გადაწყვეტილების მისაღებად |
| **ახალციხე** | ვინაიდან ტერიტორია, სადაც უნდა განხორციელებულიყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაა, მიმდინარეობს მუშაობა თავდაცვის სამინისტროსთან ერთად |

## 7. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა გამოკითხვა

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის საუკეთესო მოდელის იდენტიფიცირებისა და ჩართულობის პროცესში მონაწილე ყველა მხარის, როგორც მოქალაქეთა, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მოსაზრებების შეჯერებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის, პროექტის გუნდმა განახორციელა საკრებულოსა და გამგეობის/მერიის წარმომადგენლების გამოკითხვა.

კითხვარების შედგენისას, პროექტის გუნდმა იხელმძღვანელა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების მიხედვით და, შესაბამისად, ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: რა ინტენსივობით მიმართავენ

მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობებს და ჩართულები არიან თუ არა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; რამდენად ეფექტურია და იყენებენ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ ჩართულობის მექანიზმებს და, კერძოდ, რომლებს (დასახლების საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა, თვითმმართველობის წარმომადგენელთა ანგარიშების მოსმენა და სხვა); რა გამოწვევებია მოქალაქეთა ჩართულობის პროცესში ახალი მექანიზმების გამოყენების კუთხით და როგორ შეიძლება ამ მიმართულებით საკითხის გაუმჯობესება; ხდება თუ არა თვითმმართველობის წარმომადგენელთა ანგარიშების კანონით განსაზღვრულ ვადებში წარდგენა და შემუშავებულია თუ არა ანგარიშების რაიმე ფორმა. რამდენად ეფექტურად ახორციელებს თვითმმართველობა მის კომპეტენციაში შემავალ უფლებამოსილებებს და არსებული ქონებრივი და ფინანსური რესურსი საკმარისია თუ არა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისთვის. დეცენტრალიზაციის მიზნით, დამატებით რა უფლებამოსილებები უნდა გადაეცეს თვითმმართველობებს ცენტრალური ხელისუფლებიდან და რამდენად ეფექტურად არის გადანაწილებული ფუნქციები საკრებულოსა და მერიას/გამგეობას შორის.

გამოკითხვაში ადგილობრივი თვითმმართველობის 102-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა და, ძირითადად, გამოიკითხა საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები, მერები და მათი მოადგილეები, გამგებლები და მათი მოადგილეები, ასევე, მერიისა და გამგეობის სხვა წარმომადგენლები.



ადგილობრივი თვითმმართველობების გამოკითხული წარმომადგენლების გენდერული და ასაკობრივი კომპოზიცია ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:






### 7.1. თვითმმართველობებისადმი მიმართვიანობის ინტენსივობა

კითხვაზე, თუ რა სიხშირით მიმართავს ადგილობრივი მოსახლეობა თვითმმართველობებს, რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ ყოველდღიურად მიმართავენ. გამოკითხულთაგან 24-მა აღნიშნა, რომ მიმართავენ კვირაში რამდენჯერმე, 7-მა – თვეში რამდენჯერმე, 2-მა წარმომადგენელმა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისაგან და მხოლოდ ერთმა აღნიშნა, რომ მოქალაქეთა მიმართვის ინტენსივობა ცვალებადია.



გარდა მიმართვის ინტენსივობისა, საიასთვის საინტერესო იყო ის საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობებს მიმართავენ. გამოკითხულთა მონაცემებით, ყველაზე ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით მიმართავენ, როგორიცაა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა;
- მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება, წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა/განკარგვა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება და  საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირება.

ორგანიზაციისთვის საინტერესო იყო, ასევე, გაერკვია, მიმართავენ თუ არა მოქალაქეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მათ კომპეტენციას სცილდება და რა საკითხებია ესენი. გამოკითხულთაგან **33-მა** რესპონდენტმა კითხვას დადებითად უპასუხა და აღნიშნა, რომ ეს საკითხებია:

- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა;
- ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნა;
- მუნიციპალური საავადმყოფოს შექმნა;
- წყალმომარაგება;
- ბუნებრივი აირით მომარაგება.

უფრო დეტალურად კი, მიმართვიანობის სურათი, მუნიციპალიტეტების მიხედვით, ასე გამოიყურება:


რომელ საკითხებთან დაკავშირებით მიმართავენ მოქალაქეები თვითმმართველობის წარმომადგენლებს
0
10
20
30
40
ბიუჯეტი და ქონება
ბუნებრივი რესურსების მართვა
გადასახადები და მოსაკრებლები
ქალაქთმშენებლობა და მიწათსარგებლობა
დასუფთავება, გამწვანება და გარე განათება
ნარჩენების შეგროვება და გატანა
წყალმომარაგება
სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებები
საავტომობილო გზები, მოძრაობა და პარკირება
მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურება
გარე ვაჭრობა და ბაზრობები
თბილისი
რუსთავი
გორი
ახალციხე
მცხეთა
თელავი
ოზურგეთი
ზუგდიდი


რომელ საკითხებთან დაკავშირებით მიმართავენ მოქალაქეები თვითმმართველობის წარმომადგენლებს
ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციასთან არ არის დაკავშირებული
ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების მოსაგვარებლად
საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით
სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება და უსახლკაროთა უზრუნველყოფა
კულტურის ძეგლები და ობიექტები
სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა
შინაური ცხოველების ყოლის წესები/უპატრონო ცხოველები
გარე რეკლამის განთავსების რეგულირება
გეოგრაფიული ობიექტების სახელდება
შეკრებები და მანიფესტაციები
მშენებლობის ნებართვის გაცემა
0
5
10
15
20
25
30
35
40
ზუგდიდი
ოზურგეთი
თელავი
მცხეთა
ახალციხე
გორი
რუსთავი
თბილისი

## 7.2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და ჩართულობის ფორმები

კითხვაზე, თუ რამდენად არიან მოქალაქეები ჩართულნი ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფორმით, რესპონდენტები არაერთგვაროვანი პასუხებით გამოირჩევიან, ხოლო მათი ნაწილი თავს იკავებს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან, თუმცა, უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოქალაქეები პასიურად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რესპონდენტთა მცირე ნაწილის აზრით კი, მოქალაქეები ერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო შეხვედრების, წერილობითი მიმართვების, სოციალური ქსელისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის საშუალებებით, ასევე, საკონსულტაციო სათათბიროებისა და რაიონის ბიუროების მეშვეობით.

### 7.2.1. დასახლების საერთო კრება

**მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის პერიოდისთვის დასახლების საერთო კრება, როგორც ჩართულობის მექანიზმი, პრაქტიკაში ამუშავებული არ იყო და მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობდა შესაბამისი დებულებების დამტკიცება, 38** რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ მოქალაქეები ჩართულობის ამ ფორმას იყენებენ. **29** რესპონდენტის აზრით, მოქალაქეები ჩართულობის მოცემულ ფორმას არ იყენებენ, ხოლო **35-მა** რესპონდენტმა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

რაც შეეხება დასახლების საერთო კრების ეფექტურობის საკითხს, **31** რესპონდენტის აზრით, ჩართულობის ეს ფორმა ეფექტურია, ხოლო **14** რესპონდენტი ფიქრობს, რომ – არაეფექტურია. **57** რესპონდენტი თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა ჩართულობის აღნიშნული ფორმის გამოუყენებლობის მიზეზად მოქალაქეთა არაინფორმირებულობას ასახელებს.

### 7.2.2. პეტიცია

**27** რესპონდენტის აზრით, მოქალაქეები იყენებენ პეტიციით მიმართვის მექანიზმს. ხოლო **42** რესპონდენტის აზრით, მოქალაქეები ჩართულობის აღნიშნულ ფორმას არ მიმართავენ. **33** რესპონდენტი თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ამ შემთხვევაშიც, ჩართულობის აღნიშნული ფორმის გამოუყენებლობის მიზეზი მოქალაქეთა არაინფორმირებულობაა.

რაც შეეხება პეტიციის ეფექტურობას, **26** რესპონდენტი ფიქრობს, რომ იგი ჩართულობის ეფექტური მექანიზმია, ხოლო **13** რესპონდენტი მიიჩნევს, რომ არ არის ეფექტური. **63** რესპონდენტი თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

### 7.2.3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ადგილობრივი თვითმმართველობის **23** წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მოქალაქეები იყენებენ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, როგორც ჩართულობის მექანიზმს, ხოლო **30** რესპონდენტი საწინააღმდეგო აზრზეა. **49** რესპონდენტი თავს იკავებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

მრჩეველთა საბჭოს ეფექტურობასთან დაკავშირებით, **18** რესპონდენტი თვლის, რომ იგი ეფექტური მექანიზმია, ხოლო **14** არაეფექტურად მიიჩნევს. **70** რესპონდენტი აღნიშნულ კითხვას არ პასუხობს.

### 7.2.4. საკრებულოს/საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

**48** რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მოქალაქეები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში, ხოლო **18** რესპონდენტი საწინააღმდეგო აზრზეა. **36** რესპონდენტი თავს იკავებს კითხვაზე პასუხისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის **51** წარმომადგენლის აზრით, მოქალაქეთა მონაწილეობა საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში ეფექტურია, თუმცა, საწინააღმდეგო აზრზეა **9** რესპონდენტი. კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა **42**-მა რესპონდენტმა.

### 7.2.5. ანგარიშის მოსმენა და ანგარიშის ფორმა

გამოკითხულთაგან **61** რესპონდენტი საუბრობს, რომ მოქალაქეთა მხრიდან ხდება მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. იმავე კითხვაზე უარყოფითად პასუხობს **11** რესპონდენტი. **30**-მა რესპონდენტმა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხისაგან.

**38** რესპონდენტის აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა მოქალაქეთა მხრიდან ჩართულობის ეფექტური მექანიზმია, ხოლო **10** რესპონდენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მექანიზმი არ არის ეფექტური.




გამოკითხულთაგან **60** მიიჩნევს, რომ გამგებლის/მერის/საკრებულოს წევრის მხრიდან გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა ხორციელდება კანონით განსაზღვრულ ვადებში, ხოლო **6** რესპონდენტი ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემს. **36** რესპონდენტი ამ კითხვას უპასუხოდ ტოვებს.



**34** რესპონდენტის აზრით, ანგარიშის ფორმა დამტკიცებულია, ხოლო იმავე კითხვაზე **18** რესპონდენტი პასუხობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა არ არის დამტკიცებული. **50** რესპონდენტი თავს იკავებს კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.




კითხვა ანგარიშგების ფორმის სტრუქტურასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უპასუხოდ დატოვა. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა მიუთითა, რომ ანგარიშის ფორმა უნდა იყოს წერილობითი და აღწერდეს გაწეული სამუშაოსა და სამომავლო გეგმის მოკლე მონახაზს.

## 8. ჩართულობის სხვა ფორმები და არსებული გამოწვევები

ჩართულობის სხვა ფორმებთან დაკავშირებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ, დამატებით, მოქალაქეთა ჩართულობისთვის იყენებენ ისეთ ფორმებს, როგორიცაა საზოგადოებრივი გამოკითხვები და კვლევები, კომუნიკაცია სოციალური ქსელის საშუალებით და მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება, პრობლემური საკითხის ადგილზე გაცნობა და შესწავლა, ინტენსიური პირადი შეხვედრები მოქალაქეებთან, ბიუჯეტის პროექტების საჯაროდ განხილვა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების ჩატარება გასვლით ფორმატში.

ძირითადი გამოწვევა ჩართულობის მექანიზმებთან დაკავშირებით, თვითმმართველობის წარმომადგენელთა აზრით, არის მოქალაქეთა არასათანადო ინფორმირებულობა. მართალია, რესპონდენტთა უმრავლესობა თავს იკავებს პასუხის გაცემისაგან კითხვაზე, თუ დამატებით რა გამოწვევები არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით, თუმცა, მცირე ნაწილი მაინც აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, საჭიროა, თავად საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ უფრო მეტად აქტიურნი და ინფორმირებულნი, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ფართო ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება. რაც შეეხება კითხვას, თუ რა შეიძლება გაუმჯობესდეს მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მოქალაქეებთან ხშირი კომუნიკაცია, ღია კარის სხდომების ჩატარება, საზოგადოების დაინტერესება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობით, მათი ცნობიერების ამაღლება და საბიუჯეტო პროცესში ჩართულობა.

## 9. საბიუჯეტო პროცესი

საბიუჯეტო პროცესში პრიორიტეტების შედგენისას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მიმართავენ ჩართულობის შემდეგ ფორმებს:



რაც შეეხება ეფექტურობის შეფასებას, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:




## 10. თვითმმართველობის პრიორიტეტული მიმართულებები

ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პრიორიტეტული მიმართულებები გამოკითხულთა მიერ ასე გადანაწილდა:

| სფერო | პრიორიტეტი |
|---|---|
| 1. სოციალური დაცვა | 1 |
| 2. ჯანმრთელობის დაცვა | 2 |
| 4. ეკონომიკური საქმიანობა | 3 |
| 4. განათლება | 4 |
| 5. გარემოს დაცვა | 5 |

| | |
|---|---|
| **6. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | 6 |
| **7. საბინაო კომუნალური მეურნეობა** | 7 |
| **8. დასვენება, კულტურა, რელიგია** | 8 |

## 11. ფინანსური რესურსი

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად სწორად მოახდინოს მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსის ხარჯვა და არსებული სახსრები მიმართოს ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად. თუმცა, თითოეული მათგანი საბიუჯეტო სახსრების სიმცირეზე მიუთითებს და აღნიშნავენ, რომ ამ ფინანსური რესურსით ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების სრულად მოგვარება შეუძლებელია.

რესპონდენტებმა ქულების სისტემით შეაფასეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მომსახურების შესრულება ეფექტურობის თვალსაზრისით:



რესპონდენტებმა ქულების სისტემით შეაფასეს ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ეფექტურობა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით:




კითხვაზე, დეცენტრალიზაციის მიზნით, კიდევ რა უფლებამოსილებები უნდა გადაეცეს თვითმმართველობებს ცენტრალური ხელისუფლებიდან, რესპონდენტთა უმრავლესობა თავს იკავებს პასუხის გაცემისაგან, თუმცა, ზოგიერთმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ საჭიროა, მუნიციპალიტეტს შეეძლოს საკუთარი ბიუჯეტის თავისუფლად განკარგვა, სატყეო ფონდის, ბუნებრივი რესურსების, ადგილობრივი მიწებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკუთრებაში გადაცემა, ტრანსპორტის რეგულირების საკითხები, გამოთავისუფლებული თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში აკუმულირება, ბიუჯეტის დამოუკიდებლად შედგენა, დამოუკიდებლობა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, გადასახადების გარკვეული პროცენტული მაჩვენებლის ადგილობრივ ბიუჯეტში დატოვება.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საკრებულოსა და მერიას/გამგეობას შორის ფუნქციები ეფექტურად არის გადანაწილებული, თუმცა, მიუთითებენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, თავად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს არ აქვთ ინფორმაცია მათი უფლებამოსილებების შესახებ. **ერთმა** რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მშენებლობის ნებართვა არ უნდა გაიცეს საკრებულოს გვერდის ავლით. ასევე, **ერთი** რესპონდენტის აზრით, საკრებულოს არ უნდა ჰქონდეს მერისათვის უნდობლობის გამოცხადების უფლება. **3** რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საკრებულოს უფლებამოსილებები მცირეა.

რესპონდენტებმა ქულების სისტემით შეაფასეს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობა ადგილობრივ დონეზე ბუნებრივი კატასტროფების/სტიქიების მოგვარებასთან მიმართებით:




თვითმმართველი ორგანოების კომპეტენციასა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების შესახებ კითხვაზე პასუხისგან გამოკითხულთა უმეტესობა თავს იკავებს. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, ასევე, ტრენინგების ჩატარება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისთვის – კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ტექნოლოგიური და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, საკრებულოს უფლებამოსილების გაზრდა, მეტი კომუნიკაცია საზოგადოებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის, დამოუკიდებლობა ცენტრალური ხელისუფლებისგან.

გამოკითხვის შემდგომ თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში შეხვედრები გაიმართა მოქალაქეებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობით, რათა მომხდარიყო ორივე მხარის განწყობების შეფასება, პროექტის მიგნებების, გამოწვევების გაზიარება და მათ საფუძველზე ერთობლივი რეკომენდაციების შემუშავება.

## 12. იდენტიფიცირებული პრობლემები და რეკომენდაციები

საგულისხმოა, რომ თვითმმართველობის ორგანოები გახდა ბევრად საჯარო და ღია, ამასთან, კანონმდებლობამ განსაზღვრა თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულება მოქალაქეთა ჩართულობის უფლების ეფექტური განხორციელებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ თვითონ მოქალაქეები, ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები აღჭურვილნი იყვნენ სათანადო უნარ-ჩვევებითა და რესურსით, რათა უფრო ეფექტურად

განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილება და აქტიურად ჩაერთნენ თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროექტის იმპლემენტაციის პერიოდში მიღწეული მიგნებებისა და დაფიქსირებული გამოწვევების გაანალიზების საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ არსებითი პრობლემები და წარმოვადგინოთ რეკომენდაციები, რომლებიც გააუმჯობესებს მოქალაქეთა ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

### 12.1. მოქალაქეთა ინდიფერენტული დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებისადმი

დღემდე ვერ მოხერხდა მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი მექანიზმის დამკვიდრება, რომელიც სისტემატიურ და უწყვეტ ხასიათს მიიღებდა. მართალია, საკანონმდებლო დონეზე ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა (მათ შორის, ორგანულ კანონს დაემატა თავი „მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ“, განმტკიცდა ადგილობრივ დონეზე პეტიციის წარდგენის უფლება), პრაქტიკაში ვერ ხდება მისი ეფექტური იმპლემენტაცია. ჯერჯერობით მოქალაქეები დიდი ენთუზიაზმით არ ერთვებიან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ სარგებლობენ იმ უფლებამოსილებით, რომელიც მათ კანონით გააჩნიათ. მოსახლეობის პასიურობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ინფორმაციის ნაკლებობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაერთიანდნენ პრობლემის გარშემო და როგორ დასვან ის თვითმმართველობის ორგანოების წინაშე. განცხადებების უმრავლესობა, რომლებითაც მოქალაქეები თვითმმართველობის ორგანოებს მიმართავენ, შეიცავს მხოლოდ სოციალური დახმარების მოთხოვნას და არ ეხება რეალურად თვითმმართველობის კომპეტენციებსა და ფუნქციებს. ამასთან, მოქალაქეები არ სარგებლობენ პეტიციის უფლებით.

მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით, პიკი უნდა იყოს განსაკუთრებით ახალი წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში, თუმცა, მოქალაქეები არც საბიუჯეტო საკითხებში ერთვებიან აქტიურად. კითხვაზე, თუ როგორ ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას, რა თქმა უნდა, არ აქვთ პასუხი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კანონმდებლობა არ იცნობს „საჯარო განხილვის“ ცნებას. მართალია, რიგ მუნიციპალიტეტებში თვითმმართველობების წარმომადგენლები აქტიურად ცდილობენ მოქალაქეთა ჩართვასა და ბიუჯეტის პროექტის განხილვისთვის საჯარო ხასიათის მიცემას, თუმცა, თვითმმართველობის მტკიცებით, ბიუჯეტის პროექტის განხილვა მათ დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების ხელმძღვანელების მონაწილეობით თავისთავად წარმოადგენს საჯარო განხილვას და მეტი ადამიანის ჩართვა ამ პროცესში საჭირო არ არის.

ცენტრალურ დონეზე, პარლამენტთან მიმართებით არსებობს ბევრად უფრო მარტივი პროცედურა მოქალაქეებისთვის. კერძოდ, პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მიხედვით, საკანონმდებლო წინადადებით პარლამენტისათვის მიმართვა 1 ფიზიკურ პირსაც შეუძლია. იმავდროულად, აუცილებელი არ არის, საკანონმდებლო წინადადებას ჰქონდეს კანონპროექტის სახე. ის შეიძლება შეტანილი იყოს „მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახით“. საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი ვალდებულია, ის 20 დღის ვადაში განიხილოს. ადგილობრივ დონეზე პეტიციის წარდგენისა და განხილვის მოქმედი პროცედურა[12] არასაკმარისი მექანიზმია

[12] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 86.

მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისათვის. მიგვაჩნია, რომ პარლამენტის დონეზე არსებული მსგავსი მექანიზმი შემოღებული უნდა იყოს ადგილობრივ დონეზეც. პირობითად, მას შეგვიძლია დავარქვათ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის წინადადებით მიმართვის უფლება, რომლის განხორციელება ერთ პირსაც შეეძლება.

კანონმდებლობით უნდა მოხდეს „საჯარო განხილვის“ სამართლებრივი რეგლამენტაცია და მისი სამართლებრივი ტერმინის განმარტება, კერძოდ, უნდა განისაზღვროს, თუ რა ითვლება საჯარო განხილვად. ასევე, შესაძლებელია დაიგეგმოს საჯარო განხილვები სატელევიზიო გადაცემების, ინტერნეტის ან მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.

### 12.2. მოქალაქეთა არასათანადო ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე და მოქალაქეთა დაბალი სამართლებრივი თვითშეგნების დონე

საზოგადოების პასიურობის მიზეზი, შესაძლოა, იყოს საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმებისა და დემოკრატიული პროცესების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების ცენტრალიზებული ხასიათი, რომელიც ნაკლებად მოიცავს რეგიონებს, სადაც ერთობ დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების ხარისხი. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისა და რეფორმების მიმდინარეობის პროცესში, საზოგადოება ნაკლებად არის ჩართული, რაც გამოწვეულია ორივე მხარის დაბალი სამართლებრივი თვითშეგნებით. სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობისა და საერთო საზოგადოებრივი ინერტულობის შედეგად, ფერხდება დემოკრატიული რეფორმების განხორციელების პროცესი. ხშირად მათ არ აქვთ გაცნობიერებული თავიანთი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე და კანონით დაკისრებული მოვალეობები. აგრეთვე, დაბალია მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების დონე, რის შედეგადაც, მოქალაქეები ვერ იყენებენ თავიანთ უფლებას, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

პროექტის ფარგლებში, საინიციატივო ჯგუფებთან ერთად, სწორედ მოქალაქეების ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური ჩართვისთვის სტრატეგიულად დაიგეგმა პერიოდული კომუნიკაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან, ასევე, განხორციელდა საჯარო ინფორმაციების გამოთხოვნა. პროექტის ფარგლებში ჩართული მოქალაქეები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ განსახორციელებელ აქტივობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი როლი პრობლემების ადვოკატირებისა და, შემდგომ, ლობირების ეტაპზე. მიუხედავად ამისა, ეს ყოველივე არ ასახავს საზოგადოების საერთო განწყობასა და დამოკიდებულებას თვითმმართველობის პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით.

ამიტომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების გაგრძელება და უფრო მასშტაბური ღონისძიებების დაგეგმვა მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, ხოლო მეორე მხრივ – მოქალაქეებსა და თვითმმართველობას შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. კანონში არსებული ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც, თვითმმართველობა ვალდებულია, წელიწადში არანაკლებ ერთხელ მოსახლეობას წარუდგინოს ანგარიში, მისასალმებელია, თუმცა, უფრო მეტი ანგარიშვალდებულებისა და სიცხადისთვის,

კარგი იქნება, თუ გაიზრდება ანგარიშის წარდგენის ინტენსივობა (სულ მცირე – 6 თვეში ერთხელ) და შემუშავდება უფრო დეტალური ანგარიშის წარდგენის ფორმა. მაგალითად, საკრებულოს წევრები, რომელთა საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი, მაღალი ალბათობით, სათანადო ხარისხით ვერ ასრულებენ ამომრჩევლისთვის მიცემულ დანაპირებს. ამიტომ საინტერესო და, იმავდროულად, საჭირო ინიციატივა იქნება, თუკი საკრებულო დაამტკიცებს საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიშის ფორმას, რაც, გარკვეულწილად, ერთგვარი ანგარიშის წარდგენა იქნება საზოგადოებისთვის.

### 12.3. ფინანსები და ქონება

მოქალაქეები აქტიური ჩართულობის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ რესურსის სიმცირეს (ფინანსები, ქონება) იმისთვის, რომ დაიწყონ პრობლემური საკითხების ადვოკაცია, განცხადებით/პეტიციით მიმართონ, დაგეგმონ პირადი ვიზიტები თვითმმართველობების წარმომადგენლებთან. ფინანსები და ქონების საკითხი, ასევე, ხელშემშლელ გარემოებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. თვითმმართველობის გამოკითხულ წარმომადგენელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს უფრო მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, რაც მათი დამოუკიდებლობის გარანტიც იქნება.

რეალური ფინანსური დეცენტრალიზაციის გარეშე წარმოუდგენელია თვითმმართველობის ეფექტიანად განხორციელება.

მნიშვნელოვანია, პროექტით დარეგულირდეს **დასახლების საერთო კრების შემოსავლების, ქონების, ასევე, დასახლების საერთო კრების მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობის საკითხები.** საერთო კრების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ იგი საჭიროებს გარკვეულ ფინანსურ რესურსებს.

თვითმმართველობების ეფექტურობისა და დამოუკიდებლობისათვის, უმნიშვნელოვანესია, განხორციელდეს თვითმმართველობების ფინანსური დეცენტრალიზაცია.

### 12.4. საკრებულოს, საკრებულოს სხდომების, ბიუროს სხდომებისა და მისაღები გადაწყვეტილებების პროექტების საჯაროობა

რიგ შემთხვევებში, სხდომების ჩატარების, მათ შორის, კომისიის სხდომების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტების ვებგვერდზე და განცხადებების დაფაზე, რომელიც განთავსებულია შენობის შესასვლელში. აგრეთვე, ინფორმაცია სხდომების შესახებ ვრცელდება facebook-ის საშუალებით.

იქიდან გამომდინარე, რომ არ ხდება გამოქვეყნების ვადების დაცვა, მოქალაქეებისთვის ინფორმაცია რჩება მიუწვდომელი. ვადების დაუცველობა, ძირითადად, იკვეთება რიგგარეშე სხდომებთან დაკავშირებით. ასევე, გარდა დღის წესრიგისა, არ ქვეყნდება თვითონ მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები. თვითმმართველობის წარმომადგენლები აქვეყნებენ მხოლოდ განსახილველი პროექტების სათაურებს. არ ხდება მისაღები გადაწყვეტილებების გაცნობა თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესით.

საჭიროა თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული წესის სრულად ამოქმედება და გამოქვეყნების წესის გაწერა საკრებულოსა და მერიის დებულებებში, ან ერთიანი წესის მიღება დადგენილების ფორმით.

## 13. დასკვნა

ეფექტური და მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად მთელი რიგი დამატებითი ფორმები განსაზღვრა. აგრეთვე, აღსანიშნავია: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამების გათვალისწინების შესაძლებლობა; მუნიციპალიტეტების მიერ სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა, ელექტრონული ფორმით პეტიციის წარდგენის წესის შემოღება; მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დადგენა – განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმები; გენდერული თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი საბჭოების ფორმირებისას და ა.შ. თუმცა, ზოგადი პოზიტიური ფონის მიუხედავად, მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობის მექანიზმების პრაქტიკაში იმპლემენტაციასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები: რამდენად გაამართლებს ეს ინსტიტუტი მოსახლეობასთან წინასწარი მუშაობის გარეშე? რა სამუშაოები იგეგმება თვითმმართველობის საკითხების გარშემო მოსახლეობის ცნობიერებისა და ინტერესის გასაზრდელად? გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ კიდევ მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის ურთიერთობას წარმატებულად ვერ შევაფასებთ, არსებობს რისკი, რომ არასათანადო დაგეგმარებამ საზოგადოებაში იმედგაცრუების დონე გაზარდოს. მოახლოებული 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე, კიდევ უფრო მატულობს საფრთხე, რომ მოხდეს პოლიტიკური მიზნით მისი გამოყენება, რაც შეამცირებს თვითმმართველობის ორგანოების მიმართ ნდობას და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების ეფექტურად ამუშავების პერსპექტივებს.